ოქმი №23

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი ბიუროს

სხდომისა

აბაშა, 2023 წლის 4 ოქტომბერი

ოქმი №23

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომისა

აბაშა, 2023 წლის 4 ოქტომბერი

ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა გ. ხოშტარია.
სხდომას ესწრებოდნენ:
ბიუროს წევრები: ზ. მაკალათია, დ. გუნია, დ. ცანავა, გ. მიგინეიშვილი და კ. კუჭუხიძე. საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – საკრებულოს აპარატის უფროსი გ. ხურცილავა და საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - იურიდიულ საკითხთა განყოფილების უფროსი ნ. კუპრეიშვილი.

დღის წესრიგი:

1. „აბაშის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 27 დეკემბრის №10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტის განხილვის დაწყების შესახებ.

   მომხს. გ. ხოშტარია

2. აბაშის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხელშეკრულების დადებაზე, რომლის ღირებულება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების 5%-ს აღემატება, თანხმობის მიცემის შესახებ განკარგულების პროექტის განხილვის დაწყების თაობაზე.

   მომხს. გ. ხოშტარია

მოისმინეს:

„აბაშის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 27 დეკემბრის №10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტის განხილვის დაწყების შესახებ.

მომხს. გ. ხოშტარია

მომხსენებელმა გ. ხოშტარიამ ბიუროს წევრებს გააცნო „აბაშის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 დეკემბრის №10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ მიიღო რეკომენდაცია:
საკითხი – „აბაშის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 დეკემბრის №10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტის განხილვა დაიწყოს საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ (დ. ცანავა).
რეკომენდაცია მიღებულ იქნა ერთხმად.

2

მოისმინეს:

აბაშის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხელშეკრულების დადებაზე, რომლის ღირებულება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების 5%-ს აღემატება, თანხმობის მიცემის შესახებ განკარგულების პროექტის განხილვის დაწყების თაობაზე.
მომხს. გ. ხოშტარია

მომხსენებელმა გ. ხოშტარიამ ბიუროს წევრებს გააცნო აბაშის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხელშეკრულების დადებაზე, რომლის ღირებულება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების 5%-ს აღემატება, თანხმობის მიცემის შესახებ განკარგულების პროექტი.
აზრი გამოთქვა: დ. ცანავამ.
აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ მიიღო რეკომენდაცია:
საკითხი – აბაშის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხელშეკრულების დადებაზე, რომლის ღირებულება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების 5%-ს აღემატება, თანხმობის მიცემის შესახებ განკარგულების პროექტის განხილვა დაიწყოს საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ (დ. ცანავა)
რეკომენდაცია მიღებულ იქნა ერთხმად.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის

მოვალეობის შემსრულებელი: გ. ხოშტარია